საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს

დადგენილება №437

2011 წლის 27 აპრილი

სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) ფორმის და
სილაბუსების განხილვისა და დამტკიცების წესის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) ფორმა (დანართი 1).
2. დამტკიცდეს სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) განხილვისა და დამტკიცების წესი (დანართი 2).
3. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა:
   ა) 2011 წლის 16 მაისამდე უზრუნველყოს სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შედგენის რეკომენდაციების მომზადება;
   ბ) 2011 წლის 30 მაისამდე შეიმუშაოს სასწავლო კურსის (საგნის) კოდის მინიჭების წესის პროექტი.
4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა და სწავლების დეპარტამენტმა უზრუნველყონ სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) ფორმის, აგრეთვე სილაბუსების განხილვისა და დასამტკიცებლად წარდგენის წესის განთავსება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
5. დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე